**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# გაჩეჩილაძე ამბერკი ნიკოლოზის ძე

გაჩეჩილაძე ამბერკი ნიკოლოზის ძე [10 (23). X. 1906, საჩხერე, – 24. V. 1985, თბილისი], ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1963), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1969). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1938). 1947-იდან იყო რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი. გ. უმთავრესად იკვლევდა ახ. ქართ. ლიტ-რის ისტ. საკითხებს. მას ეკუთვნის მონოგრაფია „აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება“ (ბოლო *გამოც.* 1966), „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან“ (I–II, 1957–63), „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ (1952), აგრეთვე ნარკვევები ქართ.-რუს. და უკრ.-ქართ. *ლიტ.* ურთიერთობიდან. გ-მ შეკრიბა და გამოსცა ქართ. ხალხ. პროზის ნიმუშები (კრებ. „ქართული ზეპირსიტყვიერება“, 1966).